ოთხშაბათი, 17 დეკემბერი 1903 წ. 1877 წელიწადი ოც-და-მეშვიდე 1903 ოთხშაბათი, 17 დეკემბერი 1903 წ.

საქართველოს საჯარო ბიბლიოთეკა ტფილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთის ფასი:

12	თვით . .	10 მ.	— კ.
11	,, . .	9 ,,	50 ,,
10	,, . .	8 ,,	75 ,,
9	,, . .	8 ,,	— ,,
8	,, . .	7 ,,	25 ,,
7	,, . .	6 ,,	50 ,,
6	,, . .	6 ,,	— ,,
5	,, . .	5 ,,	50 ,,
4	,, . .	4 ,,	75 ,,
3	,, . .	3 ,,	50 ,,
2	,, . .	2 ,,	75 ,,
1	,, . .	1 ,,	50 ,,

ივერია

№ 269 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 269

წლიურის ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა:

1. ხელის მოწერის დროს—5 მ. და თიბათვის 1-ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს—4 მ., მარტის 1-ს—3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს—3 მ., მარტის 1-ს—3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.

1904 წელს

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა იმავე სივრცით და სრულის პროგრამით, როგორც დღემდე გამოდიოდა.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ გაზეთი გააუმჯობესოს. იმ თანამშრომელთა გარდა, რომელნიც აქამდე მონაწილეობას იღებდნენ, რედაქციას სხვა ჩვენი მწერლებიც დაჰპირდნენ დახმარებას და თანამშრომლობას.

ფასი გაზეთისა მთელის წლით ისევ თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

1904 წლის ხელის-მომწერთ, რომელნიც სრულ ფასს შემოიტანენ 1 თებერვლამდე, დაურიგდებათ პრემიად გრაფ ლ. ნ. ტოლსტოის რომანი „აღდგომა“ („Воскресеніе“),

5 მანეთად ტფილისში და 7 მანეთად ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოდ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებს, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ და ყველა ხელოსანს.

ხელის-მოწერა მიიღება:

ტფილისში:—«ივერიის» რედაქცია (თავად-აზნაურთა ქარვასლა №№ 117 და 118) და ქ. შ. წერა-კითხვ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
ბათუმში:—ნიკოლაძის ჟურნალ-გაზეთების სააგენტოში და ჭელიძის წიგნის მაღაზიაში.
საბუნჩაში:—პეტრე მაჭავარიანთან.
შორაპანში:—პართენ ხასიძესთან.
განჯაში:—სოფრონ კანდელაკთან (სადგურზედ).
გორში:—ანტონ კასრაძესთან.

განცხადება პირველ გვერდზედ—15 კაპ სტრ., მეოთხეზედ—10 კაპ. მთელი გვერდი გაზეთისა ცალკე მორიგებით.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“.

რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.

ამ წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების.

ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი,

იჯარით აქვს

და სრულიად ახლად მოაწყო იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შემოუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, **მეცამეტე სურათი,** მიეცემა **მ უ ქ თ ა დ** აკვარელით (ფერადებით) **საუცხოოდ დახატული.**

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავლად აქვს გასაყიდად სურათები ძველის ნაშთებისა, სინახებისა და საზოგადო მოღვაწეთა სურათები.

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს თავის დროზე, კარგად და ზომიე ფასად.

მოსწავლე ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცელიძე.**

მიიღება ხელს მოწერა 1904 წლისათვის.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი“

სურათებიანის დამატებით კვირაში ორჯელ.

(წელიწადი მეცხრე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—6 მან., 6 თვით—4 მან., 1 თვით—50 კაპ.	1 წლით—9 მან., 6 თვით—5 მან., 1 თვით—90 კაპ.

თვიურ ხელის-მომწერს სურათებიანი დამატება არ გაეგზავნება.

წლიური ფასის განაწილება: ხელის-მოწერისათანავე 4 მანეთი, დანარჩენიც 1-ს მარტამდე.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე“

(წელიწადი მეთერთმეტე)

ფ ა ს ი ჟ უ რ ნ ა ლ ი ს ა

კავკასიაში და რუსეთში:	საზღვარ-გარედ:
1 წლით—10 მან., 6 თვით—6 მან., 3 თვით—3 მან.	1 წლით—13 მან., 6 თვით—7 მან., 3 თვით—5 მან.

ვინც „მოამბეს“ მთელის წლით გამოიწერს, სურათებიანი დამატებანი და „ცნობის ფურცელი“ უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატონ 1 მანეთი, რომელიც ხელის-მოწერისთანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

წლიურ ფასის განაწილება: პირველად—6 მან. ქალაქ-გარედ მცხოვრებთათვის, და 5 მან. ტფილისელთათვის, 1-ლ მარტამდე—3 მან., 1 აგვისტომდე დანარჩენი.

როგორც „ცნობის ფურცლის“, ისე «მოამბის» მხოლოდ წლიურ ხელის-მომწერთ გაეგზავნებათ პრემიად ყველა ნაწერები

ალ. ყაზბეგისა.

1904 წელს „ცნობის ფურცლის“ დამატებაში დაიწყება ბეჭდვა სურათებისა «საქართველოს ეტნოგრაფია და კულტურა სურათებში». დასურათება დაიწყება გურიიდან. სურათები იქმნება ფოტოგრაფიით გადღებული და კარანდაშით ნახატი ბ. გოგიაშვილის მიერ.

გარდა ამისა „მოამბის“ ხელის-მომწერთ გაეგზავნებათ

ოთხი საყმაწვილო წიგნი სურათებით

(გამოვა სამ თვეში ერთხელ)

ოთხივე წიგნი შეადგენს 250 გვერდს.

წლიური ფასის გარდა ქალაქ გარედ ხელის-მომწერლებმა, პრემიის გასაგზავნად, რედაქციას ფოსტის ხარჯათ 55 კაპ. უნდა გამოუგზავნონ.

რედაქცია უმორჩილესად სთხოვს ზემოთ აღნიშნულ გამოცემათა დაკვეთის მსურველთ, 25 დეკემბრამდე დაიკვეთონ, რომ კანტორამ მოასწროს ადრესების დამზადება და არ დააგვიანოს გამოცემათა გზავნა.

რედაქცია და კანტორა იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакц. „Моамбе“ и „Цнобисъ Пурцели“.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილ იქნება

I

მ ე დ ე ა

დრამ. 4 მოქმ. ლ. სუვორინისა და ბურენინისა თარგ. ლ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი, ნებიერიძისა, ნ. ჩხეიძე ბ-ნნი: ლ. ბაქრაძე, ბ. გედევანოვი, ნ. გვარაძე, ი. ივანიძე, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი.**

---

22 დეკემბერს, 1903 წ.

ტფილისის საკრებულო დარბაზში გაიმართება „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ

კონცერტი,

რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: თულაშვილისა, ჩემესოვისა; ბ-ნნი: ვილშაუ, ევლახიშვილი, პოლივკა და სხ. აგრეთვე სიმღერის მოყვარულთა გუნდი და

ორკესტრი

ბ. ზ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

ხორო და ორკესტრი შეასრულებს ა. რუბინშტეინის სასულიერო ორატორიიდან „ბაბილონის გოდოლის შენება“, ქართულს, იმერულს, გურულს და სვანურს სიმღერებს და მარშს „ალსდეგ, გმირთ გმირო“.

კონცერტის შემდეგ გაიმართება ქართული და ევროპიული ცეკვა.

ბილეთები იყიდება „წერა კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (სასახლის ქუჩა თავ. აზ. ქარვასლა). (3—6.—1)

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, საღამოს 7 საათზედ კავკასიის სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია ჩვეულებრივი საზოგადო კრება რუსეთის გეოგრაფიულ საზოგადოების კავკასიის განყოფილების წევრთა.

განსახილველი საგნები:

1. მოხსენდება საზოგადოებას ნამდვილ წევრის ა. ა. არაქელიანისა „ქურთები სპარსეთში“.
2. ამორჩევა ნამდვილ წევრებისა.

კრებაზე დასწრება ყველას შეუძლიან უფასოდ. (2—3.—1).

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსული ოპერა

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 17 დეკემბერს 1903 წ.

წარმოდგენილი იქნება

ოტელლო

ოპერა 4 მოქ. მუს. ვერდისა თარ. ნ.ნ. ფიგნერისა.

მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: რენე-რადინა, კარრი. ბ-ნნი ფიგნერი, რაისკი, ილიუშენკო, გლადკოვი, რყანოვი, კლიუზნერი, გავრიილოვი.

ხუთშაბათს, 18 დეკემბერს, წარმოდგენა არ იქნება.

კაპელმეისტერი ბ-ნი ესპოზიტო.

უფროსი რეჟისორი ბოგოლიუბოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

ექიმი

ვ. დ. ღამბაშიძე

ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს საღამოს 6—7 საათამდე.

ნიკოლოზის ქუჩა, № 46.

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დ ი ლ ი თ:

ვ. ი. ჟიჟინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე. შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

ლ. მ. მოჩინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—1 ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით. ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ა. გ. მაღალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირდღეებს გარდა.

დ ი ლ ა ო ბ ი თ:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

უ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაგანასოვი. დ ლის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

კ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ვ. ა. თარხანოვი. 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

ს ა ღ ა მ ო ო ბ ი თ:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

გ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბინინა.** 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. 7½—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. 8½—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში და მსურველთ მასსაჟსა, აუცრის ყვავილს გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

ტფილისი

⁂ გზათა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილებამ დაადგინა, მიხეილის რკინის გზის ინსპექტორი და მასწავლებელი ა. ს. ბაბოვი პეტერბურგში გაიგზავნოს სატეხნიკო და პროფესიონალურ განათლების მოღვაწეთა კრებაზედ დასასწრებლად. ეს კრება დანიშნულია 26 დეკემბერს. ქალაქის გამგეობამ დაავალა ა. ბაბოვს, შეიტყე რა მდგომარეობაშია ზოგიერთი საგნები, რომლების შესახებაც შუამდგომლობაა აღძრული ქალაქის მიერო. ა. ს. ბაბოვი გუშინ წავიდა პეტერბურგს.

⁂ ძალიან ბევრს რამეს მოელიან ტფილისელნი სოლოლაკის გვირაბის გაყვანით. ბევრნი მცხოვრებნი აპირებენ ბოტანიკურ ბაღთან ადგილების ყიდვას სახლების დასადგმელად, თუ ეს ადგილები შეუერთდება ტფილისს. ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიასაც აზრად აქვს ბოტანიკურ ბაღთან ადგილი შეიძინოს გიმნაზიისათვის შენობის ასაგებად. ამ საქმის შესახებ გვირაბის გამყვანელ კონცესიონერებთან მოლაპარაკებაც გაჰმართა.

⁂ სან-ლუის მსოფლიო გამოფენაზე ტფილისის ბოტანიკური ბაღი ჰგზავნის კავკასიის ჯურის ხეების ნიმუშებს.

⁂ ტფილისის ბოტანიკურ ბაღთან დაარსებულია ორის წლის ვადიანი სკოლა, რომელშიაც მოსწავლეთ ასწავლიან სხვა-და-სხვა ხეების მოვლას. 14 დეკემბერს დანიშნული იყო გამოცდა იმ მოსწავლეებისა, რომელნიც ორი წელიწადია სწავლობენ ამ სკოლაში. სულ კურსი დაასრულა 7 კაცმა, ამათში 6 ქართველია, 1 სომეხი. პირველ კურსზე ამ ჟამად 7 კაცია. ახალი მოწაფეთა მიღება დანიშნულია მომავალ წლის პირველ მარტისთვის.

⁂ ტფილისში ჩამოვიდა ქუთაისის გუბერნატორი გენ.-მაიორი ა. ა. სმაგინი.

⁂ 19 დეკემბერს საგუბერნიო მკურნალის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი თიანეთის მაზრისკენ გაემგზავრება. ბ-ნი მაჭავარიანი დაათვალიერებს იქაურს სასოფლო საავადმყოფოებს.

⁂ ტფილისის ქალაქის თვითმართველობა მოვალეა ჟანდარმთა 22 უნტერ-ოფიცერს სადგომი მისცეს განათებით და გათბობით. ქალაქის თვითმართველობა სახლის მაგივრად თითო უნტერ-ოფიცერს 8 მანეთს აძლევდა აქამდე. ახლა ტფილისის ჟანდარმთა თვითმართველობამ მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, 8 მანეთი თითო უნტერ ოფიცერს არ ჰყოფნის სახლის დასაქირავებლად და ამიტომ თითოს 15 მანეთი მიეცით. თუ ამას რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასთანხმდები, მაშინ სახლი მიეციო. კავკასიის სხვა ქალაქებში ჟანდარმთა უნტერ ოფიცრებს 15 მანეთი ეძლევათო.

ა. ს. ბაბოვი, როგორც ვიცით, თავმჯდომარეა ქალაქის საბჭოს საფინანსო კომისიისა. რადგან ბაბოვი პეტერბურგს იქმნა გაგზავნილი, მის თანამდებობის დროებით აღმასრულებლად ი. ფტიგრანოვი დაინიშნა.

13 დეკემბერს ვიღაც უცნობ კაცებს გაუტეხიათ მიხეილ მაჩაბლის სამზარეულო და სხვა-და-სხვა ავეჯი წაუღიათ სულ 100 მანეთისა.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრება დასრულებულა 13 დეკემბერს.

როგორც გვატყობინებენ, სადგურ მიხაილოვში ვაგონების გადამბმელი ხარებაშვილი ჩავარდნილა მატარებლის ორთქმავალის ქვეშ. ხარებაშვილი მომკვდარა.

13 დეკემბერს ხაშურთან საქონლისა და მომუშავე მატარებლები დაჯახებულა. 6 კონდუქტორი დაშავებულა. კომისია იქმნა ამორჩეული დაჯახების მიზეზის გამოსაკვლევად. კომისიამ დამნაშავედ იცნო მატარებლების დაჯახებაში უფროსი კონდუქტორი ჟორდანია, მომუშავე მატარებლის მაშინისტი რატია, რკინის გზის სადგურის უფროსის თანამდებობის აღმასრულებელი ვაშკევიჩი და სადგურის მდღევარი სვანიძე.

18 დეკემბერს საღამოს 7 საათზე სამხედრო შტაბის დარბაზში დანიშნულია კრება კავკასიის საგეოგრაფიო საზოგადოების წევრთა. კრება მოისმენს საზოგადოების ნამდვილ წევრის ა. არაქელიანის მოხსენებას „ქურთები სპარსეთში“ და აირჩევს საზოგადოების ნამდვილ წევრთ.

უგანათლებ. კნეინა გრუზინსკაის მეთაურობით, თავ. ქობულაშვილის სახლში ქართულ დრამატიულ საზოგადოების სასარგებლოდ გამართული იქმნა ბალი. შემოსავალი ყოფილა 1,500 მანეთი.

ამ დღეებში ტფილისის ქუჩებისა და მოედნების საუკეთესო სისტემით მომკირწყვლელმა კომისიამ განიხილა მოხსენება ბელგიის უსახელო საზოგადოებისა, რომელმაც ამას წინად სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, ნება მომეცი რკინის გზის ლიანდაგი მოვკირწყლო რუმინიის გრანიტითაო. კომისიამ შეიმუშავა ზომა ოთხ-კუთხ გრანიტისა მოსაკირწყლავად და დაავალა თავჯდომარეს, შეიტყე პირობები სხვა ფირმებისაცაო.

ტფილისის ცხენის რკინის გზის უსახელო საზოგადოების წარმომადგენელმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას, დაუბრუნე საზოგადოებას ის კუპონები იმ 56,000 მანეთის სახელმწიფო 4% რენტისა, რომელიც საზოგადოებამ წარუდგინა გირაოდ ხელშეკრულობის დროსაო.

დედათა პროფესიონალურ სასწავლებლის დირექტორმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გადასცე 285 მ. 5 საკერავ მაშინის შესაძენადაო.

უსინათლო ბავშვთათვის სამზრუნველოს კასაში ამ წლის პირველ ნოემბერს 14,342 მანეთი 18 კაპ. ყოფილა. ნოემბრის განმავლობაში შესულა 14,904 მ. 8 კაპ. ამავე თვეში დახარჯულა 2,211 მან. 82 კაპ. დეკემბრის პირველისთვის დარჩენილა 12,692 მან. 26 კაპ.

7 დეკემბერს ცხინვალში სცენის მოყვარეთ ქართული წარმოდგენა გაუმართავთ 1902 წელს ცეცხლისაგან დაზარალებულ ებრაელთა სასარგებლოდ.

ვიღაც ს. ვ. ლირისი კრასნოვოდსკიდან სწერს კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, შეიძინეთ ჩემ მიერ გამოგონილი აპარატი კალიის მოსასპობლადაო. ამ აპარატით სარგებლობა ადვილიაო.

აქამდე სოფ. კახში სასმელების გაყიდვის ნება მარტო უცხოელებს ჰქონდათ, რომელნიც ისე ჰყიდნენ სასმელებს, როგორც სურდათ. ახლა-კი კახის საზოგადოებას თავ. ვაჩნაძის მეთაურობით სასმელების დუქნების გახსნის ნება აუღია. ახლა ქართველებიც ივაჭრებენ.

ამას წინად ვწერდით, ოდესის უნივერსიტეტში 116 ქართველი სტუდენტიაო. როგორც ახლა გვწერენ, ქართველ სტუდენტთა რიცხვი 140 ყოფილა, სომხებისა 60-ი.

გორის მაზრიდან კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას თავ. ციციშვილმა გამოუგზავნა კოლექციები სხვა-და-სხვა ხილისა სანლუის საერთაშორისო გამოფენაზე გასაგზავნად.

ოჯახებში ვინ გვიშლის?

„ეხლა მეტი რაღა გვეთქმის:
რაც მოგვივა დავითაო,
ნურავის ნუ დავაბრალებთ,
ყველა ჩვენის თავითაო.“

მეგრელებისა და სვანების, ტომით იგივე ჩვენი მოძმე ქართველი ხალხის, პირველ დაწყებითი სკოლებში ქართული ენის სწავლების მოსპობამ, ძალიან შეაშფოთა და დააჭმუნა როგორც ზემოხსენებულ კუთხეების მკვიდრნი, მებრვე მთელი ქართველი ხალხი. და ეს საერთო მწუხარება ხმა მაღლა გამოითქვა გავლილ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებაზე. კოლლეგიურმა კრებამ მიიღო თავის თავზე მონიჭებულის უფლების ძალით შუამდგომლობა უმაღლესის მთავრობის წინაშე, რადგან მეგრელებსა და სვანებს არ მოესპოთ უფლება თავიანთ ძირითად დედა-ენის ქართულის შესწავლისა და ცოდნის. შეწყნარებულ იქმნება კოლხეთისა და სვანეთის ხალხის ყოვლად კანონიერი მოთხოვნილება, მიაღწევს თავის სასურველს მიზანს, თუ უნაყოფოდ ჩაივლის თავად-აზნაურთა კრებულის შუამდგომლობა, რაღა თქმა უნდა ჩვენ ეს არ ვიცით. ჩვენ მხოლოდ ის ვიცით, რომ ჩვენა ვართ დიდი შემცოდე ჩვენი დედა-ენის წინაშე, და სხვასთან დიდი სასაყვედურო არა გვაქვს რა... თუ არ ოფიციალურ განკარგულება, რომ სამეგრელოსა და სვანეთში უნდა მოისპოს ქართული ენა, არ გამოვიღვიძებდით საღათას ძილიდამ; უამისოდ ვის ახსოვდა, ვინა აქცევდა ყურადღებას ამ ფრიად საყურადღებო საერთო საქმეს. განა დანარჩენ ქართველობაში კი არ ისპობა, არ ავიწყდებათ ჩვენი დედა-ენა? რა ბრძანებაა... ყველგან განსაცდელის ხანაშია... ჩვენ თვითონ უარ ვყოფთ, აბუჩად ვიგდებთ, აღარ გვინდა ვიცოდეთ, ვილაპარაკოთ ჩვენი დედა-ენით; აღარ გვინდა შევინარჩუნოთ რამ ჩვენი ეროვნული და ზნეობრივი თვისებათაგანი, და რაღა დაგვიდგება წინ და შეგვაჩერებს გადაგვარების გზაზე?.. სხვას ტყუილად დავემდურებით, რატომ ჩვენს შვილებს სკოლებში დედა-ენას არ ასწავლითო; ამავე დროს ჩვენსავე ოჯახებში ჩვენს შვილებს, მოზარდ თაობას, ერთს სიტყვასაც არ ვასწავლით, არ ვაგონებთ დედა-ენაზე; მშობლიურს არას ვათვისებინებთ. ახირებული ლოღიკაა თუ გნებავს სწორედ ეს არის..

ჩვენი ქვეყნის უმთავრეს ქალაქებში დაბინავებულის ჩვენი ერის მოწინავე კლასის, უმეტესი ნაწილის ოჯახები რომ დაიაროთ ქართულს ვერას ნახავთ; ერთს სიტყვასაც ვერ გაიგონებთ ქართულის ენით გამოთქმულს. ქართული ზნეობრივი სახე ხომ სულ გამქრალია ასეთს ოჯახებში. განათლებულ ქართველ ინტელიგენტთა უმრავლესი ნაწილის ოჯახთა კრებული წარმოადგენენ ნამდვილს სურათს ნებროთის კოშკის მუშებისას: ერთი რომ ინგლისურად ჩიკჩიკობს, მეორე ფრანგულად, მესამე ისპანიურად, მეოთხე ჩინურად და სხვა... ქართულად-კი არც ერთი... ამნაირად არეულია ქართული ოჯახის ტიბიკონი.—ქართულ წიგნს, ჟურნალ-გაზეთებს დიოგენის ფანრითაც რომ ეძებოთ, ვერსად იპოვით ასეთ ოჯახებში. (რა საჭიროა, ვინ იკადრებს მათ წაკითხვას). ეხლა მიბრძანეთ, ჩვენ თვითონა ვართ მიზეზი ჩვენი ერის სიკვდილის მოახლოებისა თუ არა? დაიბადება ბავშვი თუ არა, მშობლები დედის ძუძუს მაგიერ, დედინაცვლის ძუძუს უდებენ პირში. ენას თავიანთ შვილებს დედა-ენაზე-კი არ ადგმევინებენ, არამედ უცხო ენაზე!.. ქართველი ინტელიგენტი დედა, თავის შვილს აკვანში ქართულად-კი არ უმღერის «ნანა, შვილო, ნანინას», არამედ უცხო ენაზე.

ბავშვი ისე აღწევს საშკოლო ასაკში, რომ თავის დედა ოჯახში მშობლიური, ეროვნული არა ესმის-რა, ვერას ხედავს, მაშასადამე ვერას სწავლობს, ვერას ითვისებს, ვერ ისისხლ-ხორცებს მშობლიურს. დიაღ, ჩვენი უბედურობაც იმაში მდგომარეობს, რომ მარტო სკოლებში-კი არ არის უარყოფილი ჩვენი დედა ენა; ჩვენსავე ოჯახებშიაც უარყოფილი, განდევნილი და დავიწყებულია. პირველი ისე არარის საშიშო და საგოდებელი, როგორც მეორე, იმიტომ რომ პირველი სკოლა, სადაც მოზარდი თაობა სწავლობს, იძენს და ითვისებს თავის ეროვნულ სასწავლო საგნებს, არის თავის დედა ოჯახი, მასწავლებელი თავისი მშობლები. ბავშვი რასაც ხედავს და ესმის თავის ოჯახში, რასაც პირველად აუხელია გონების თვალი, რაც ესმის თავის მშობლებისაგან, იმას ითვისებს, სწავლობს, იმას ისისხლ-ხორცებს, რომელიც თან ჰყვება მას მთელს თავის სიცოცხლეში. მაშასადამე თუ ახალგაზრდა ყრმა თავის მშობლების ოჯახში ვერ იძენს დედა-ენის ცოდნას, ვერ გებულობს თავის ვინაობას, ვერ სწავლობს თავის ეროვნულს მწიგნობრობას, ვერ ითვისებს თავის ნაციონალურს თვისებას, სხვაგან სად უნდა ისწავლოს, შეიძინოს ესეთი სავალდებულო საგნები?... სად ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს ამდენი სკოლები? მაგრამ იმათ ძალიან კარგად იცოდენ თავიანთი დედა-ენა, განვითარებულნი იყვნენ სასულიერო თუ საერო მწიგნობრობაში, ესმოდათ თავის ვინაობა და სხვა...

ყოველივე ამას მაშინდელი ახალ გაზრდობა იძენდა და სწავლობდა თავის ოჯახში, თავის მშობლებისა და ნათესავებისაგან. მაშინ ჩვენი მაღალი წოდების ოჯახები წარმოადგენდნენ ეროვნულ სკოლებს მოზარდ ახალ თაობისათვის, სადაც იძენდენ ეროვნულ საგნების სწავლა განვითარებას. ჩვენს დროში-კი ასეთს ოჯახებს ვეღარსად ვხედავთ,—აღარა გვაქვს მშობლიური კერა;.. ეროვნული შენობა თუ შიგნიდამ დაირღვა, გარედამ დიდი იერიშის მიტანა რაღა საჭიროა?..

დიაღ, თუ გვინდა ჩვენი დედა-ენა არ მოკვდეს, არ განქრეს, თუ გვინდა ჩვენი ქართული ეროვნული სახე შევინარჩუნოთ მომავალშიაც, უნდა ვეცადოთ ქართული ოჯახის აღდგენას და შეურყეველ საფუძველზე დამყარებას. სადაც უმთავრესი ყურადღება უნდა ჰქონდეს მიპყრობილი დედა-ენის და ამ ენაზე არსებულის მწიგნობრობის ზედმიწევნით შესწავლას, ეროვნულ განათლების ზნე თვისების შეგნება—შეთვისებას. უამისოდ კი დღევანდელს ყოფაში როგორც ენის, მებრვე ეროვნულის სახის დაცვა და შენარჩუნება შეუძლებელად მიგვაჩნია...

ქაიხოსრო გელოვანი

ცოტა რამ სტატისტიკისა.

როდესაც სოფლის მამასახლისი გამოუცდელია და მასთან უსწავლელიც, მაშინ მთელ სამამასახლისოს საქმეების წარმოება მხოლოდ მწერალზეა დამოკიდებული. რაც გაკეთდება, კარგად თუ ავად, ეს სულ ამ უკანასკნელის ბრალი იქნება. მას აქედ, რაც რავდენიმე სოფელი ერთ სამამასახლისოდ შეერთდა, სოფლის კანცელარიებშიც საქმეებმა იმატა. დღითი-დღე უფრო მეტს ცნობებს თხოულობენ სხვა-და-სხვა დაწესებულებანი. ყველა ცნობები დაწერილი უნდა იყოს რუსულად და შემოწმებული მამასახლისისაგან. მაგალითად, ამ წლის თიბათვის უკანასკნელ რიცხვებში პეტერბურგიდგან შინაგან საქმეთა სამინისტროსთან არსებულმა სასტატისტიკო კომიტეტმა მოითხოვა სოფლის კანცელარიებიდან სხვა-და-სხვა ცნობები: რამდენი დესეტინა მიწა აქვს თვითეულს სოფელს სანადელო, ნასყიდი ან საიჯარო; რამდენია სახნავი, სავენახე, სათიბი და საძოვარი; რამდენია დათესილი და შემუშავებული; რამდენი სული საქონელი ჰყავთ და სხვ. ეს ზემოხსენებული ცნობები ადვილი წარსადგენი არ არის. ყოველ ამის შედგენას დაკვირვება უნდა, სწორეთ გამოანგარიშება. მაგრამ რადგან ეს ზემოხსენებული ცნობები სოფლის მამასახლისებს უნდა წარედგინათ პირდაპირ სასტატისტიკო კომიტეტში, ზოგიერთმა სოფლის მწერლებმა თავიანთებურად მოკლედ და საჩქაროდ შეთითხნეს რაღაც ციფრები და წარგზავნეს. ამრიგად ჩნდება ყალბი სტატისტიკური ცნობები, რომლებითაც ხშირად ხელმძღვანელობენ ახალ გარდასახადების შემოსაღებად ანუ კანონების შესაცვლელად. მამასახლისსა და მწერალს ეს საქმე გასართობად მიაჩნიათ. საჭიროა და კარგი იქნება ამ საქმეს ყურადღება მიაქციოს, ვისიც ჯერ არს, და გააფრთხილოს სოფლის მწერლები, ყოველი ცნობა სწორედ შეადგინონ, რომ შემდეგში მათ დაუდევრობისა გამო ორ წუთში ზეპირად შედგენილ ცნობებს ადგილი აღარ ჰქონდეს.

კოტე ალაზნისპირელი.

ჩვენებური ამბები

ს. ქარელი. თუ რომ რომელსამე დაბა—ქალაქში რამე უწესოება ხდება, არ რჩება გამოუქვეყნებლად, ხოლო სოფლიდგან თუ არას იწერებიან, მაშინ ჩვენ გვფიქრობთ, რომ იქ სიწყნარეა და ყოველივე რიგზედ მიდისო. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ასე არ არის: მე, როგორც მგზავრს, შემთხვევით მომიხდა რამოდენსამე საათით დარჩენა სოფელს ქარელში და შევიტყვე რამოდენიმე ამბავი ქურდობისა და შემაძრწუნებელ ავა-

---

ფელეტონი

ლალატი

დრამა-ლეგენდა 5 მოქმედებად, თ-დის ა. სუმბათაშვილისა.

მომქმედნი:

სოლეიმან-ხანი—არაბთა გვარდიის უფროსი და შაჰის მოადგილე საქართველოში.
ზეინაბი—40 წლისა, მისი უფროსი ცოლი, ქვრივი საქართველოს მეფის თეიმურაზისა.
რუქაია—25 წლისა, მონა-მხევალი სოლეიმანისა.
ისახარ—ზეინაბის გამდელი, ცოლი ანანია გლახასი.
ოთარ-ბეგი—ქართლის გამგებელი, განდგომილი ქართველი, 50 წლისა.
გაიანე, მისი ქალი, 18 წლისა.
ანანია გლახა, გლეხ-კაცი, 70 წლისა.
ერეკლე, მისი შვილობილი, 22 წლისა.
დათო, მისი შვილი, 25 წლისა.
საბა-ბერი, 50 წლისა.
ყარა-იუსუფი. გამგებელი ტფილისისა.
ალ-რაზაკი, აბაშელი, უფროსი ხოჯა სოლეიმანისა.
ბესო, ოთარ-ბეგის მსახური, 45 წლისა.
შაიკო, გაიანეს გამდელი.
იბნ-საადი, უფროსი დარაჯთა, არაბი.
გიგა, ქართველი მხედარი.
ორბელიანი. (წინამძღვარნი ქართველ-
სუმბატი. (თა ჯარისა.
მცველნი სოლეიმანისა, ქართველთ მხედარნი. მონა-მხევალნი სოლეიმანისა. გლეხ-კაცნი. მსახურნი ოთარ-ბეგისა.

—

მოქმედება პირველი

ტერასა სოლეიმან-ხანის სასახლეში, რომელიც ტფილისის ციხეშია მოთავსებული, მტკვრის პირას. უკანა დეკორაცია წარმოადგენს მტკვარ-გაღმა მხარეს ქალაქისას, მეტეხის კლდეს, ზედ ციხეა და ეკლესია. ტერასას მტკვრისაგან ჰყოფს ფერადის მარმარილოს ხვეული სვეტები, კამარა-შეკრულ თაღებით გადაბმული ერთმანერთზედ, მოფენილი არაბულის წარწერებით და შემკული ფერადის აიასოფიის კენჭით. გარშემო ყველგან ვარდის ბუჩქებია და ხვეული მცენარენი. მაყურებელთაგან მარჯვნივ და მარცხნივ კედლებია მოვარაყებულ და მინანქრიან სურათებით. კედლებს კარები აქვს, აღმოსავლეთის გემოვნებაზედ მოჭედილი ფერადის თვლებითა და ქვის კენჭებით. სცენის შუა-გულ ოთხ-კუთხიანი აუზია, ოთხ-კუთხივ ლომების ქანდაკებანია; მათის პირიდან ამოდის სურნელოვანი წყალი შადრევნად და ავსებს აუზს. მარცხნივ ფართო კვარცხლბეკია, მორთული ხალიჩებითა და ბალიშებით. ადრე გაზაფხულია. მზე ჩადის და მალე დგება შვენიერი მთვარიანი ღამე.

სოლეიმან-ხანი პირ-ხმელ, მაღალ-მაღალი მოხუცია, შავ-გვრემანი, შავწვერა, ოდნავ ჭაღარა-შერთული, ტანთ გრძელი სამეფო ტანისამოსი აცვია, თავსა ჰხურავს მაღალი დოლბანდი, შემკული ბრილიანტის ფრთით, ოქროს ხმალი მუხლებზედ უდევს, ხმალს ზედ მრავლად ჰკიდია თილისმები და აჭრელებულია წარწერებით ალ-ყურანიდან, ზის შადრევანთან ფართო სავარძელში, რომელიც ხალიჩებითა და ბალიშებით არის მორთული. მის სავარძელს უკან სდგანან მცველნი, შეიარაღებულნი თავით-ფეხამდე, და თავზედ ჰხურავთ დოლბანდები. აქეთ-იქით, მარცხნივ სდგას ხოჯა ალ-რაზაკი, სქელი აბაშელი, სავსე პირის-სახით და პატარა, წრაფად მოძრავის თვალებით. მარჯვნივ სდგას ყარა-იუსუფი, თხელწვერა, პირ-ხმელი, დაბალ-დაბალის ტანისა. სოლეიმან-ხანის წინაშე სდგას ოთარ-ბეგი, გორის ერისთავი, მაღალ-მაღალი, სრული, ახოვანი, სპარსულად ჩაცმული, წვერ-მოპარსული, გრძელი და სქელი გათეთრებული ულვაშები მკერდზე სცემს, სქელი წარბები აქვს, სახე მამაცური, გაშლილი, ხან მხიარული, ზედ ღრმა ნახმლევი ამჩნევია შუბლიდან შუა ლოყამდე. უიარაღოა. მოისმის ყრუ ბორბოქი მტკვრისა. რაზაკი, იუსუფი და ოთარ-ბეგი თავ-დახრილნი დგანან და ძირს დიიცქირებიან, ხელები აბის კალთებში აქვთ დაფარული. სოლეიმანი მრისხანე, მაგრამ მოქანცულის და მკვდრის ფრად გაყვითლებულის სახით გარინდებით იცქირება მაღლა და ფირუზის კრიალოსანს ათამაშებს. ხანგრძლივი დუმილია, კარის კაცნი ძლივს სულს ითქვამენ.

I.

სოლეიმან-ხანი. დიდ არს ალლაჰი!

სამივე კარის-კაცნი (თავ-დახრით).—დიდ არს ალლაჰი! (დუმილი).

სოლეიმან-ხანი. ფადი-შაჰი საყვედურს მითვლის მე, გურჯისტანის მბრძანებელს. ჯერ შორიდან ყრუდ მოისმის მისის მრისხანების გრგვინვა. ჩვენ ყველანი მისი ფეხთა მტვერნი ვართ.

სამივე კარის-კაცნი. მისმა ჩრდილმა დაჰფაროს მთელი ქვეყნიერობა!

სოლეიმან-ხანი. ვერაგი მეფე იმერეთისა, წყეულ ახალციხელ ფაშის მუქარით შეშინებული, კაცს კაცზე ჰგზავნის საიდუმლოდ ქართლში, ამხნევებს და ასისინებს უწმინდურ ძაღლ-ქრისტეანებს.

ოთარ-ბეგი. მათმა სისხლმა მოუკლას წყურვილი მელა-ტურებსა!

სოლეიმან-ხანი. შორს მხედველია თვალი ჩემი და მახვილია ჩემი ყური. (ოთარ-ბეგს გადაჰხედავს). გორის ერისთავო! შენ ხარ ჩემი ბურჯი ქართლში. შენი სიტყვები ყურს ასიამოვნებს, მაგრამ გულში ღალატი გაქვს დამარხული.

ოთარ-ბეგი.—ვიყო მსხვერპლი შენის სიმართლისა, მბრძანებელო! შენი რისხვა მეხია ჩემთვის, ჩემი გული წმინდაა შენს სამსჯავროს წინაშე.

სოლეიმან-ხანი. რაკი შენ უარ-ჰყავ სიბნელე და მიიღე ნათელი ისლამისა, მეც დავივიწყე შენი ურიდი ბრძოლა ჩემ უძლეველ მხედრობის წინააღმდეგ, დაგიახლოვე და მოგეც შენ, მონას, ბატონობა ქართლისა.

ოთარ-ბეგი. მახვილო წინასწარმეტყველის მაჰმადისა! შენის წყალობის სანაცვლოდ დავაქციე ის ტაძარნი, სადაც ოდესმე ვლოცულობდი! ჩემის მამა-პაპის სამარხს თავზე დავაქციე კამარა-შეკრული თაღები და იმათ საფლავზე მგლებს გააქვთ დღეს ყმუილი. შევიბრალე განა ჩემნი მახლობელნი და შორეულნი! შენ არ მომიწოდე განა ცეცხლითა და მახვილით მოსრე ყოველივეო? ჩემი მარჯვენა არ აქცევდა განა უწმინდურ ქრისტეანეთა სისხლს და არ ჰღებავდა მით მტკვრისა და არაგვის წყალს აგერ თვრამეტი წელიწადია? იმ სისხლში არ ერია განა ჩემის ძმებისა, ნათესავებისა და მეგობრების სისხლი?! ქვა-ქვაზე აღარ დავტოვე იქ, სადაც 23 ეკკლესია იყო აგებული, მიწასთან გავასწორე 11 მონასტერი, ხის ჯვრებზე დავაკარ შეგინებული გვამი მღვდლებისა და მონოზნებისა და მივეც მტკვრის ტალღებს გურგანის ზღვაში ჩასატანად. იდიდოს სახელი ირანისა! მე, ქართველმა დაბადებით, გავქელე საქართველო ისე, როგორც ჰქელავს შვილი თავის გარყვნილს დედას. გავქელე და ფეხქვეშ გადმოგიგდე შეკრული და მორჩილი. და თუ ესეც ცოტაა, თუ ესეც სათნო არ არის შენთვის, შეიწირე ჩემი სიცოცხლე, დამსაჯე, მეფევ ძლიერო! (თავს იხრის მის ფეხთა წინაშე).

სოლეიმან-ხანი (ყურს უგდებდა გარინდებული და თვალებ ზე-აპყრობილი).—კახეთის ერისთავი შენზე ერთგულია: ყელამდე ჩაჰფლა მიწაში 12 წყეული ერევნელი და შვიდს დღეს დასტოვა ისე სიცხე-პაპანაქებაში ბუზებისა და მუმლის შესაჭმელად. იმათმა კურდღელივით მშიშარა გულმა ვერ აიტანა წამება და გასცეს ბოროტნი ზრახვანი ერევნის სარდლისა. ისა მღუპავს მე ისპაჰანსა. ძღვენს ძღვენზედ უგზავნის ფადიშასა და ყოველ გაგზავნაზე მასმენს და ცილსა მწამებს მეცა. რითი-ღა გავიმართლო თავი!

ოთარ-ბეგი (მხოლოდ ახლა წამოიწევს).—შენის მახვილის ძლიერებით, მეფევ დიდებულო!

სოლეიმან-ხანი (ჩაფიქრებით).—მარტო მახვილი არ არის ძალა მეფეთ-მეფისა. ლომი დიდხანს ეპარება თავის საკბილოს, მაგრამ როდესაც კამარას შეჰკრავს და გადახტება, მის ნახტომს აუცილებელი სიკვდილი უნდა მოჰყვეს. მიაძინე მტერი და გაჰგლიჯე შუაზედ.

ყარა-იუსუფი.—სიბრძე ძველის მეფის სოლეიმანისა მტვერია ჩვენის მბრძანებელის სიბრძნესთან!

სოლეიმან-ხანი.—ერევნის ბატონი უგზავნის ირანის მფლობელს ოქროსა და ვერცხლს, ყარაბაღულს ცხენებს და დატვირთულ აქლემებით ბრინჯს, ხილსა და პურს, ჯან-ღონით სავსე მონებსა და შვენიერს მხევლებსა. ფადიშას ფეხ-ქვეშ ხოხავს და კაწკაწი მოსდის ჩემს გურჯისტანზედ. მერე სად იყო მაშინ ის მხდალი ძაღლი, როცა მე, ამ ოცის წლის წინად, როგორც შავმა ჭირმა, ისე ამოვსწყვიტე საქართველოს ვაჟკაცნი და მათნი ცოლ-შვილნი? განა იმან აქცია ირანის ყმებად თავადნი კახეთისა და ქართლისა, ხოლო აზნაურნი და გლეხ-კაცო-

ზაკობის; ბოლოს დროს თურმე ისე გახშირებულა ამ სოფელში ქურდობა, რომ დამე იშვიათად გაივლის, არა დაიკარგოს-რა. ამ ცოტა ხანში ნადირაშვილისათვის დაუპარიათ ცხენები, აბრამ ფაჩულაშვილის სახლი გაუტეხიათ და გაუზიდნიათ ავეჯი და ტანისაცმელი, გიორგი ფაჩულაშვილისათვის დაუპარნიათ მთლად წვრილ-ფეხი და ყოველივე სანოვაგე, ნიკო ხარატოვისათვის მოუპარამთ ორი ძროხა და დაუსვამთ ცარიელზედ ცოლ-შვილითა, რადგანაც ამის მეტი საქონელი არ ებადა, და სხვა.. როდესაც ქურდი შესულა ნიკო ხარატოვის ბოსელში ძროხების გასარეკად და წუმწუმა გაუკრავს, ამ დროს გამოღვიძებია შიგ მწოლიარე ბიჭსა და ქურდი, თავის მეზობელი, უცვნია; მაგრამ შიშით ვერც იმ დამეს და ვერც მეორე დღეს ქურდს არ ასახელებდა, მანამ ძალა არ დაადგა ბოლოს ძლივს წარმოსთქვა გვარი და სახელი ქურდისა, რომელიც მაშინვე შეიპყრო ხიდისთავის ბოქაულმა და კიდეც გამოსტეხა. მაგრამ რა გამოვიდა? ძროხები დაკლულები და დახოცილები აღმოჩნდა ბაბა სურამში და, არ ვიცით, რით დააჯილდოვებს სასამართლო დაზარალებულს ხარატოვსა, მით უმეტეს რომ ქურდებს არა აბადიათ-რა. ამნაირ ხალხის შევიწროებულს მდგომარეობაში, როგორც გამოცდილებით ვიცით, დიდი მნიშვნელობა აქვს საერობო დარაჯთა სიფხიზლეს, მაგრამ ყველგან როგორ ადევნონ თვალ-ყური. აი კიდევ ერთი სამწუხარო ამბავი, რომელიც მოხდარა ქარელის სადგურზედ, ამ თვის ხუთს: სადგურის მახლობლად დუქნიდგან გამოსულა ბინდისას ერთი შეიარაღებული კაცი, უსრილია თოფი და მოუკლავს ყითვიანის დუქანთან დაბმული ცხენი. ყითვიანი მედუქნე მისულა და დაუწყია ჩხუბი მედუქნისათვის. შემდეგ მედუქნე იასონ ყითვიანი გამობრუნებულა თავისავე დუქანში; ხოლო ამ დროს ვიღასაც უკანიდგან სროლა დაუწყვია. ერთი ტყვია მოხვედრია მედუქნეს მხარში, მეორე ტყვიას გაუვლია ერთ ბარძაყში და მეორე ბარძაყში გაჩერებულა. დაჭრილი მედუქნე თომა ყითვიანი წაქცეულა და ავაზაკი კი გამობრუნებულა თოფის სროლით, დამჯდარა მატარებელზე და წასულა. ხალხი ბლომად იყო ამ დროს თურმე სადგურზედ თავ-მოყრილი, მაგრამ ვერავინ ვერა შეჰბედა-რა. წინანდელ პრისტავის ბ. გოგოხიას ხელში თურმე იშვიათი იყო ამ ნაირი შემთხვევა, რადგანაც იგი იყო თავ-დაუზოგავი, ფხიზელი და იმის შიშით ამ ნაირი ავაზაკები ვერც-კი ბედავდნენ შესულიყვნენ იმის საბოქაულოში. გარდა ამისა აფხიზლებდა დარაჯებსაც დაავალებდა, დამეში რამდენჯერმე სოფლისთვის შემოევლოთ. მაშინ სოფელს ავაზაკებიც ერიდებოდნენ და ქურდებიცა. ეხლა-კი აშალა საქმე. „სოფელი ვნახე უძაღლოთ შიგ გავიარე უჯოხოთ“ --ქურდები ამას ამბობენ, რადგან არავის შიში არა აქვ ი. ამნაირი ქურდობისა და ავაზაკობის შესამცირებლად კარგი იქნებოდა, ბოქაული სცხოვრობდეს ს. ქარელში, მით უმეტეს, რომ „კავკასიის კალენდარში“, ხიდისთავის ბოქაულის საცხოვრებლად აღნიშნულია ს. ქარელი. თუ ეს არ მოხერხდება, კარგი იქნება, ბოქაულმა მიჰბაძოს გოგოხიას მაგალითს და ადგილობრივი საერო დარაჯი გააფხიზლოს, თორემ ამნაირ პირობებში ცხოვრება ხალხს ძალიან გაუჭირდება.

ნა—ეოტელო.

რუსეთი

რავდენად ძლიერდება ხალხის განათლების საქმე რუსეთში, ამის შესახებ საყურადღებო ცნობებს იძლევა ჟურნალი „რუსეთის სკოლა“.

თვალ-გადუწვდენელ და კიდით-კიდემდე გადაჭიმულ რუსეთის სახელმწიფოში ამ ჟამად 84,544 სასწავლებელია სხვადასხვა ხარისხისა. ერთი სკოლაა 222 ჩორსო ვერსტის მანძილზე. 130,000,000 მცხოვრებთაგან სწავლობს მხოლოდ 4,580,827 სული, ანუ ცოტა ნაკლებ 5%-სა. ამათგან 73% ვაჟია, ხოლო 27%-მდე ქალი. 29 ვაჟთაგან მხოლოდ 1 სწავლობს და 54 ქალთაგან 1. შიდა რუსეთისა და დასავლეთის გუბერნიებში 15 ჩორსო ვერსტის მანძილზე 1 სკოლაა, ხოლო სიბირში, შუაგულ აზიასა და კავკასიის ახლო-მახლო, ერთი სკოლაა 2,536—47,706 ჩორსო ვერსის სივრცეზე. ისეთ მანძილზე, რომელიც დიდს მაზრას უდრის, იქ მხოლოდ ერთი სკოლაა და ისიც წერა-კითხვისა. თუ შიდა გუბერნიებში ას კაცზე 5—6 სწავლობს, სიბირში, შუა-აზიასა და კავკასიის ზოგ გუბერნიებში (ბაქო-განჯისა) ას კაცზე ერთი მოსწავლეც არ მოდის (0,07—0,9%). საერთოდ ერთი მოსწავლეა 1,600 სულ მცხოვრებზე; ბაქოსა და ყარსის გუბერნიებში-კი 5,220—4,500 სულზე. ზოგ ადგილს ხალხს არც-კი გაუგონია, რა არის სკოლა. მომეტებული ნაწილი სკოლებისა, რასაკვირველია, სულ დაბალ ხარისხისაა და უფრო სამრევლო-საეკლესიო, რომლებშიაც ბევრს არას ასწავლიან.

თუ რომ დაბალ სასწავლებლად ისეთი სკოლა იგულისხმება, როგორც ერთ კლასიანი საერობო ანუ სამინისტრო სკოლაა, მაშინ უმრავლესი ნაწილი რუსეთის დაბალ სკოლებისა ,,დაბალზე დაბლად'' უნდა იწოდებოდეს..

მასწავლებელთა რიცხვი 172,494-ია მათ შორის 88,278 საეკლესიო სკოლაში მასწავლებლობს. საერო სკოლებში მასწავლებელი ვაჟი 55%, ქალი—45; საეკლესიო სკოლებში-კი მასწავლებელი ვაჟი 60,9%, ქალი—49 1. სამასწავლებლო ასპარეზზედ ქალთა რიცხვი თანდათან მატულობს.

მასწავლებლები იღებენ ჯამაგირს:

არაფერს — —	35,845	კაცი
სანოვაგით (!) —	2,948	„
50 მანათზე ნაკლებ	11,172	„
50 მან. 100-მდე —	7,072	„
100 მან. 150-დე —	7,689	„

და სხვა. რა უნდა იყოს ამათი მასწავლებლობა—ეს თვით მკითხველმა იფიქროს.

უცხოეთი

სპარსეთი. თვისი მოწყალე ყურადღება ინგლისმა ბოლოს დროს სპარსეთსაც მიაპყრ ა. არ ითქმის, რომ ინგლისს სპარსეთისთვის როდისმე თვალი მოეშორებინოს. პირ-იქით ამ 10—15 წლის წინად ინგლისი ეკონომიურად ბატონობდა კიდეც სპარსეთში, ევროპიდგან მხოლოდ ინგლისის საქონელი ვრცელდებოდა, მისვლა-მოსვლა მხოლოდ ინგლისის გემებსა ჰქონდათ. პოლიტიკურადაც სპარსეთს ინგლისი ყოველთვის შიშსა ჰგვრიდა, ასე რომ უიმისოდ საქმეს ვერავისთან დაიჭერდა. მართალია, რუსეთი, დიდი ხანია, სცდილობდა მეზობლურად დაახლოვებოდა სპარსეთს, მაგრამ უკანასკნელი რუსეთს უფრო უფრთხოდა, როგორც ძლიერს სახელმწიფოს, რომელსაც ერთის ფეხის გადადგმა ეყოფა, რომ მთელი სპარსეთი დაიპყროს. რუსეთს ძველ დროიდგანვე ვაჭრობა და აღებ-მიცემობა აქვს სპარსეთთან, მაგრამ რუსის ვაჭრები ფეხს ვერ იკიდებდნენ სპარსეთში და თავის საქონელს ისე ვერ ავრცელებდნენ, როგორც ინგლისელები. ამის ბრალსა თვით რუსის ვაჭრებსა სდებდნენ, რადგან ისეთს საქონელს არ ამზადებდნენ თავის ქარხნებში, როგორიც სპარსელებს სჭირდებათ და მოსწონთ. მაგალითად, რუსეთის ქარხნებს იმდონი შაქარი გამოჰყავთ, რომ ვერსად გაუსაღებიათ; მთავრობა ჯილდოსაც-კი აძლევდა მექარხნეებს, ვინც თავის ნაწარმოებს საზღვარ გარედ გაიტანდა. სპარსეთში-კი რუსული შაქარი ისე არა საღდებოდა, როგორც ინგლისური რუსის ვაჭრებს შაქარი მხოლოდ იმიტომ გაჰქონდათ სპარსეთში, რომ რუსეთის მართებლობისაგან ჯილდო მიეღოთ გატანილის რაოდენობა-კვალობაზედ. სპარსელებს თურმე პატარ-პატარა თავი და რბილი შაქარი მოსწონდათ და ინგლისურს იმისთვის ეტანებოდნენ. რუსეთის მექარხნეები-კი ამ მოთხოვნილებას უკანასკნელ დრომდე არ აკმაყოფილებდნენ. სწორედ ასევე ითქმის ჩითეულობაზე. რუსეთის ჩითეულობა გათქმულია. ქარხნები მრავალია. ნაწარმოები-კი აწყვია და ვერ იყიდებოდა უბაზრობისა ვამო. სპარსეთში ძველადგანვე რუსული ჩითეულობა მიდიოდა, მაგრამ ინგლისური მაინც ძლევდა, რადგან გარეგნობა, ნახატეობა სპარსელების გემოვნებას არ ეწყობოდა. ყოველივე ეს, თუმცა გვიან, მაგრამ შეიგნეს რუსეთის მექარხნეებმა და ეხლა მეტი აღებ-მიცემობა დაიწყეს

რუსეთის ვაჭრების აღებ-მიცემობას დიდად ხელი შეუწყო ამ რამდენისამე წლის წინედ სპარსეთში დაარსებულმა რუსეთ-სპარსეთის ბანკმა და იმ 25 მილიონმა, რომელიც რუსეთმა სპარსეთს ასესხა. ინგლისელებს არაფრად ეჭაშნიკათ ეს ბანკი და სესხი, მაგრამ იმ დროს თვით ინგლისი თავის საკუთარ საქმეებში იყო გართული და რუს-სპარსთა ურთიერთ დაახლოვებას ხელი ვერ შეუშალა. ეხლა-კი მოიცალა, მაგრამ გვიან-ღაა. თუმც ინგლისი სცდილობს როგორმე კვალად ჩაითრიოს სპარსეთი, ჰპირდება შენს სესხს ერთბაშად გავისტუმრებ და უფრო ხელსაყრელ პირობით გასესხებო, მაგრამ სპარსეთის მთავრობა ყოყმანობს, არ იცის, რითი მოიმადლიეროს ორთავე მხარე, რომელთაგან ერთი ძლიერ ია სამხედროებით და მეორე ფინანსიურად. ორთავე საშიშია, რადგან ერთს შეუძლიან პოლიტიკური თვით არსებობა მოუსპოს და მეორე-კი ფინანსიურად დაიმორჩილებს და ტყავს გაძრობს. თუ რომ რუსეთს ან აღმოსავლეთით ან დასავლეთით შეტაკება მოუხდა რომელსამე მეზობელთან, მაშინ-კი ინგლისი თავისას ეცდება, სპარსეთში კვალად ფეხი შესდგას. ამ განზრახულების პირველ ნაბიჯად უნდა ვიგულისხმოთ ინდოეთის ვიცე-კოროლის მოგზაურობა სპარსეთის ნაპირად და ნავთ-სადგურების დათვალიერება სპარსეთის ზღვაზედ ამ ორიოდე კვირის წინად, რამაც სპარსეთის მთავრობა დიდად შეაფიქრიანა.

იტალია. ვატიკანი უარ-ჰყოფს იმ ხმებს, ვითომც პაპს ლეონ XIII გადაეცეს კარდინალ გოტისათვის 40,000,000 ფრანკი და ვითომც 9 მილიონი იპოვეს განსვენებულ პაპის კერძო წიგნთ-საცავი. „ტრიბუნა“ ამბობს, რომ ეს ყოველივე იმიტომ არის მოგონილი, რომ შეწირულობა მოაკლოს წმ. პეტრეს მოადგილესო. როგორც ეს გაზეთი ისე სხვა ლიბერალური გაზეთები ამტკიცებენ, რომ წინად გავრცელებული ამბავი მართალიაო. ვატიკანი იმისთვისაა წინააღმდეგი ამ ხმებისა, რომ, თუ ეკლესია ესე მდიდარია, შეწირულობას აღარავინ გაიმეტებსო.— „ტრიბუნა“ იმასაც ამბობს, ვითომ ფულის პარკში პაპის ლეონ XIII ბეჭედიც ყოფილა, რომელიც ხონთქარმა ჯილდოდ გაუგზავნა იუბილეის დროს. ბეჭედს 1,200,000 ფრანკად აფასებდნენ და უკანასკნელ დრომდე ეგონათ, დაიკარგაო. ამ ამბავს გაზეთი დასძენს, ვითომც განსვენებულ პაპს ფულისა და ძვირფას ნივთების მალვა ჩვეულებად ჰქონდაო.

ავსტრალია. ადგილობრივის საფედერაციო პარლამენტის არჩევნები დასრულდა. სენატსა და ქვემო პალატას მრავალი მუშათა წარმომადგენელი დეპუტატი მოემატა. მუშათა პარტიის გაძლიერება იმითი აიხსნება, რომ ქალებსაც მიუღიათ არჩევნებში მონაწილეობა და სულ მუშათა მომხრეებისთვის მიუციათ კენჭი.

წარმომადგენელთა პალატაში ეხლა 26 მართებლობის მომხრე დეპუტატია, 24—ოპოზიციისა, 24—მუშათა წარმომადგენელი და 1—დამოუკიდებელი. ამას წინად პალატაში მხოლოდ 16 მუშათა წარმომადგენელი ყოფილა.

სენატში-კი 8 მართებლობის (სამინისტროს) მომხრე, 12—ოპოზიციისა, 12—მუშათა პარტიისა და 2—დამოუკიდებელი. ამას წინად მუშათა პარტიას მხოლოდ 8 წარმომადგენელი ჰყოლია სენატში.

თეატრი და ხელოვნება

ორშაბათს, 15 დეკემბერს, ქართულ თეატრში ვენელთა ოპერეტის უკანასკნელი წარმოდგენა იყო გამართული. საერთოდ ეს ოპერეტა სრული ღირსია იმ ქებისა და სახელისა, რომელიც მას აქვს მოპოვებული ყველა დიდ ქალაქებში და ტფილისშიაც სამართლიანად დაიმსახურა. ღირსება ამ ტრუპისა, რომელიც სამიცდაათის კაციდან შესდგება, ყოველის ოპერეტკის ანსამბლით შესრულებაა: როლის ცოდნა, სკოლა და მომზადება ყოველ არტისტს ეტყობა, თითქმის უბრალო ხორისტებსაც-კი.

ამას გარდა ტრუპაში ნიჭიერი არტისტები და კარგი ხმის პატრონებიც ურევია. ქ. ლონა-ნეი, გუსტი კერნერი და სხ. ბ. ოტტო სამოლი, ფრიც რელვიცი, ოტტო შილლერი და სხვ. ყველა ჩინებული არტისტია, ხალხი ზოგიერთ ოპერეტკას ძლიან ბლომათ ესწრობოდა.

კავკავი. კვირას, 7-ს დეკემბერს, კავკავის ქართულ სცენის მოყვარულებმა ახლად მოწყობილს დარბაზში წარმოადგინეს ვ. გუნიას „და-ძმა“ და ვოდევილი ,,ორმოცი წლის არშიყი''.

,,და-ძმა''-ში მონაწილეობას იღებდნენ: ქნ. ე. ი. ანდრონიკაშვილისა (გადია), ქ-ნი ე. ს. გვარამაძისა (მარინე), ბ-ნნი: კ. ყაზბეგი (ქუჩუ ადამია), ნ. კურდღელაშვილი (გაიოზ ფალავა), პ. პოლოლიკაშვილი (ოტია ჯოლია), კ. კახიანი (გიორგი ადამია), მ. სურამელი (ფარად-

---

ბა თავის სანადირო ძაღლების საჭმელად? განა მე არ დავაბნელე მზე საქართველოსი და ამ მარჯვენამ არ ამოჰგლიჯა მკერდიდან მის უკანასკნელ მეფეს გული, რომელსაც ჯერ ისევ ფანცქალი გაჰქონდა? (კარები ნელა იღება, კარებს იქით სდგას ზეინაბი დიდებულად ჩაცმული სპარსულს გემოვნებაზედ).

ყარა-იუს. ვინ გაუმაგრდება ძლიერსა?

ალ-რაზ.-- შენა ხარ ნამგალი ალლაჰისა!

ოთ.-ბეგი.—თვალებიც დასდგომიათ შენს მტრებს!

(თითქმის ყველანი ერთად)

სოლეიმან-ხანი (თავს დაჰხრის). —ესა ყოფილა კაცის დიდება! მე აქა ვზივარ ჩემს ტახტზედ და ჩემმა მტრებმა უკვე დაივიწყეს ჩემი ძალა, გარს შემომიარეს ჯაჰვივითა.

ოთარ-ბეგი.—სცადე ჩემი ერთგულება, დიდებულო მეფეო. აღვამხედრებ მთლად ქართლსა, გარე-შემოვადგები ქუთაისსა და ახალციხეს, იმერეთის მეფესა და ახალციხის ფაშას ერთის თოკით შევკრავ, ერთმანერთზედ გადავაბამ და, როგორც ხურჯინს, ისე გადავკიდებ სახედრის კეხზედ, მოგგვრი აქა და შენის კარის დირეზედ დავყრი. მიბრძანე მხოლოდ და დავესხმი თავს ერივანსა, გუდით მოგართმევ სარდლის თავს.

სოლეიმან-ხანი (თვალს თვალებში უხნევს). —მოვა დრო და მივისევ. ჯერ ადრეა. ფადიშას ბრძანებით გაგორდება სარდლის თავი. ყარა-იუსუფ!

ყარა-იუსუფ (დაბლა თავის დაკვრით).—გვიბრძანეთ, ძლიერო!

სოლეიმან-ხანი. — დაამზადე ყურ-მოჭრილ ყმობის წერილი ფადიშასთან გასაგზავნად. შენ თითონ წაიღებ და თან ძღვენსაც მიართმევ. ოთარ-ბეგ! დღესვე, ვიდრე შუადამე შეიქმნებოდეს, წახვალ ქართლს. თერთმეტ დღეს უკან გამოჰგზავნი ერთი საპალნე ბაჯაღლო ოქროს, სამს საპალნე ვერცხლს და თორმეტ ცხენს. იცოდე, პირველი ცხენი თეთრი უნდა იყოს თოვლივითა, უკანასკნელი-კი შავი, როგორც ყორანი. თითოეულს მთლად ძარღვები უნდა უჩანდეს კანქვეშა.

ოთარ-ბეგი (დაბლა თავის დაკვრით). ყოველივე მეცხრე დღეს მზად იქმნება.

სოლეიმან-ხანი. მოაგროვე უმშვენიერესნი ქალწულნი. საჩუქრად მინდა მივართვა ფადიშასა. მე თვითონ დავშინჯავ და იცოდე, დაბადების დღეს გაწყვეტინებ, თუ რომ... მოიცა!.. ყური მოვკარი, ქალი გყავს შენა?

ოთარ-ბეგი (მღელვარება შეიკავა და ხუმრობაში სცდილობს გაატაროს). ორმოცზე მეტი მყავს, ბატონო ჩემო, წყალობითა მაჰმადისათა, რომელმაც დაგვიხსნა ერთის ცოლისაგან. კურთხეულ იყოს სახელი მისი! რომელიც უკეთესია, იმას წარმოუდგენ ბრწყინვალე თვალთა შენთა.

II

ზეინაბი (გააღებს კარებს და გადაიხდის რიდეს). ოთარ-ბეგ, გაიანეს გამოგზავნაც არ დაგავიწყდეს.

ოთარ-ბეგ (შეშფოთდება, უკან დაიხევს და, რომ ჩაახშოს თვისი შეშფოთება, დაბლა თავს უკრავს. ზეინაბი გაემართება სოლეიმან-ხანის საჯდომ ტახტისაკენ, დაიხრება, ეამბორება მის მუხლებს, მერე წამოდგება და ჯდება მის გვერდით. მოხუცი ისახარიც იმავე კარებიდან გამოდის და ჩერდება მარმარილოს სვეტთან სცენის სიღრმეში. ყარა-იუსუფი და ალ-რაზაკი დაბლა თავს უკრავენ ზეინაბს).

სოლეიმან-ხანი. ვინა სთქვი, ზეინაბ?

ზეინაბი. საქართველოს მზეო, დიდი ხანია წავიდა ის წყეული დრო, როცა ჩემს თვალებს ჯერ არ ენახე შენ და ჩემი გული შენ ფეხქვეშ არ იყო გაფენილი. შენა ხარ ახლა ჩემი სამშობლოცა, ჩემი სარწმუნოებაცა, ჩემი ბატონიცა. მაგრამ როცა ჯერ მე შენი არ ვიყავ—წყეულიმც იყოს თვით ხსენებაც-კი იმ შავ-უკუღმა დღეთა, როცა მე ცოლი ვიყავ იმ საზიზღარის, ლაჩარის, გურჯისტანის ულირს მეფედ ნამყოფისა, შენის ხელით რომ მოჰკალი, მე კარგად ვიცნობდი ჩემს ცბიერს ხალხს. ოჰ, ტყუილად არ გემუდარებოდი ამდენს ხანს, ნუ ჰზოგავ იმათ სისხლსა-მეთქი, ზედშესდეგ და ჰქელე მეთქი. მხოლოდ შიშს შეუძლიან გაასწოროს მათი მრუდე და მატყუარა გული.

სოლეიმან-ხანი (მრისხანედ).—ოთარ-ბეგ, რას ჰნიშნავს ის ლაპარაკი დედოფლისა?

ოთარ-ბეგი (თავ-გზა-დაბნეული).—არ ვიცი, რა მოგახსენო, მბრძანებელო! დედოფალი ჩემზედ არ არის გარისხებული, თავის ყმასა და მონაზედ.

ზეინაბ (ზიზღით). მრისხანების ღირსია ლომი და არა მელა. ბატონო ჩემო, მაგას ჯერ არ უტყუენია შენთანა და ვერც ვერავინ მოახერხებს იტყუოს, ვიდრე ცოცხალი ვარ. კარგად ვიცი, ახლოსა თუ შორს ვინ რას გიპირობს, ვის რა უდევს გულში, ვერავინ გაჰბედავს შენს მოღალატეობას და მთელი შენი რაზმი დარაჯებისა ვერ დაგიფარავს ისე, როგორც დაგიფარავს ჩემი სიყვარული. ოთარ-ბეგ! სად არის შენი ქალი, რომელიც პირველის ცოლისაგანა გყავდა, მუხრან-ბატონის ქალისაგან? აი იმ ქალბატონისაგან, ვისის შთაგონებითაც იმდენს ხანს ებრძოდი ჩვენს უძლეველს ხმალს ახალქალაქის მთებში? მარიამისაგან რომ მოგეცა! (უყურებს ისე, რომ თვალს თვალში უყრის ისაროვითა) შენის ქრისტეანე ცოლის მარიამისაგან? თვითონ ის მოჰკვდა ჩვენის მბრძანებელის ხელით მაშინ, როცა იცავდა შენს ციხე-დარბაზს. შენ-კი ამ დროს ქუთაისში იყავი და უკან დასდევდი იმერეთის მეფის ასულს და შველას ემუდარებოდი იმის ქურდ მამას უძლეველის სოლეიმანის წინააღმდეგ? სად არის ის შენი ქალი? გაიანე? სთქვი, ცოცხალი აღარ არის, მოკვდა?

ოთარ-ბეგ. (ავანკალებულს ხელებს ჩოხის კალთებს ავლებს, გაფითრებულია, თვალებ განიერებული და მდუმარებს).

ზეინაბი (თვალს არ აშორებს). გაფითრდი, გაფითრდი, საძაგელო მელავ! ის ცოცხალია, საქართველოს მზეო. ამან დამალა თავისი ქალი ახალციხის ახლოს, უღრან ტყეში. ისეა თურმე გაფურჩქვნილი, როგორც მთის ყვავილი. მიდის საიდუმლოდ მის სანახავად და შეჰხარის. ოჰ, მაგას რომ ქალის შვენიერება არ უყვარდეს, აგრე ადვილად არ გაჰქელავდა ფეხ-ქვეშ ყოველსავე, რაცა სწამდა. დიდია და ვრცელი მაგის ჰარამხანა, მაგრამ იმ ჰარამხანაში არა ჰყავს გაიანე. და ვინცა ჰყავს სხვა ასულნი, არც ერთი მისი ტოლი და სწორი არ არის შვენებითა. ოთარ-ბეგ, დაიტოვე სხვა ყველა შენი ასულნი, მეფეს-კი მხოლოდ გაიანე მოჰგვარე. (დაცინვით უყურებს ოთარ-ბეგს. ოთარ-ბეგი გაფითრებული სდგას. ყარა-იუსუფი და ალ-რაზაკი ონავრობით სავსე თვალს არ აშორებენ. სოლეიმან-ხანი გააფთრებით სჭუტავს თვალებს და ისე ზის პირ-გამეხებული, თითქო ვეფხია და აგერ უნდა გამარა ჰკრას და დასცხრეს თავსა ა. ხანგრძლივი დუმილია, თითოეულს თავისი დარდი და ვარამი შემოსწოლია).

სოლეიმან-ხანი. ოთარ-ბეგ! რას ბრძანებ?

ოთარ-ბეგი (ძალ-ღონეს მოიკრებს და გონებაზედ მოდის, გულ-მარტივად და ალალმართლობით). თუ მართლა ეგ არის ჩემი დანაშაული, მაგაში მე არა ვარ ბრალი. გაიანეს შენთვის ვზრდიდი და მინდოდა შენ ფეხთა ქვეშე დამემხო, როგორც საუკეთესო ძღვენი შენის მონისა.

ზეინაბი (შეკრთება, გაოცებული, უნებლიედ). როგორ? შენ!.. (გონს მოვა). დიაღაც, აგრე უნდა, ან აქამდე რაღას უყურებდი?!

სოლეიმან-ხანი. რამდენის წლისაა?

ოთარ-ბეგი. თექვსმეტისა გახლავთ.

ზეინაბი. თვრამეტისაა.

ოთარ-ბეგი (შეშფოთდება). შესაძლოა, დედოფალო, მე ჩემი წლოვანობაც არ ვიცი, სად შემიძლიან დავინახსოვრო წლოვანობა გოგოსი. მაგრამ ჯერ ისეთი ბავშვია შესახედაობით, რომ მეშინოდა, დიდებული მეფე. არ გამირისხდეს უღირსის საჩუქრისათვისა მეთქი.

სოლეიმან-ხანი. (გადაგდ-გადმოაგდებს თავს).—ცბიერი ხარ, ქართლელო!

ოთარ-ბეგი. დიდო გულთა მხილაო, რა არის ჩემი ცბიერება შენის სიბრძნის წინაშე. მხოლოდ პირველ ხანში გებრძოდი—სიბნელე ჰქონდა გადაფარებული ჩემს თვალებს, მაგრამ მე პირველი არ მოვედი გურჯისტანის თავადთა და მთავართა შორის შენის მაღალის კარის წინაშე და მე პირველმა არ დავდე ჩემი ქუდ-მოხდილი თავი საჯალათო კუნძზედ? მე არ მოვიყვანე მუხრან-ბატონიცა, მფლობელი ციციცა, ურჩი სემბათიცა და მთათ-სიმაგრეთა ბევრი სხვა ბატონი და პატრონი? სამი დღე ვეყარენით შენ კარ წინაშე და მორჩილებით ველოდით სიკვდილსა. შენ შეგვიწყალე და შენის სურვილით მივიღე ძლევა-შემოსილი ისლამი. მას უკან განვლო თითქმის ოცამე წელმა. მოიგონე, მახვილო ალლაჰისაო, ვინ უფრო ერთგულად გემსახურებოდა? მუხრან-ბატონი გაიქცა იმერეთს, ციცი გადიცვალა, ხოლო ვერაგი სემბათი შეუერთდა მოღალატე ორბელიანს, დაძრწის იალღუჯის მთებში და

ფაშა), კ. ოთარაშვილი (ყარა-ოღლი), ვ. ზირაქაშვილი (ჯან-ვერდი), ვ. ბორისაშვილი (ყარა-გიოზი) და სხ.

ყველაზედ ძალიან დამსწრე საზოგადოებას მოეწონა ბ-ნი ყაზბეგი. მართლაც იგი შეუდარებელია ამ როლში. თვალწინ კაცს მართლა ქუჩუ ადამია ეხატებოდა. ცოტა როლის უცოდინარობა ეტყობოდა, მაგრამ იმედია, შემდეგში გაასწორებს ამ ნაკლსა.

დიდად ასიამოვნა აგრეთვე საზოგადოება კურდღელაშვილმა; თუმცა ცოტა მკაფიოთ ვერ ლაპარაკობდა, და ამიტომ უკან მდგომ ხალხს ბევრი სიტყვები კარგად ვერ ესმოდა. ბ-ნმა პოლოლიკაშვილმა სრულიად არ იცოდა თავისი როლი. მთელი ყურადღება სუფლიორზედ ჰქონდა მიპყრობილი, ამის გამო ბევრჯელ სასაცილო მდგომარეობაში ვარდებოდა: მოჰკრავდა ორიოდე სიტყვას ყურს, წამოიძახებდა და მერე ისეთ რამეს მიაყოლებდა, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა ჰქონდა მის მიერ ნათქვამ წინა სიტყვებთან. ბევრი ქვემდებარე დაგვიგდო უშესმენილოდ და ეს ხომ პატარა შეგირდებისთვისაც მომაკვდინებელი ცოდვაა. მიუხედავათ ამისა, ჩვენ დარწმუნებული ვართ, იმას მშვენივრად შეუძლიან თამაში. თუ ამ წარმოდგენაში უფერულად თამაშობდა, მიზეზი ავადმყოფობა იყო, რის გამოც როლი ვერ ისწავლა და რეპეტიციებსაც ხშირად აკლდებოდა.

ქალბატონმა გვარამაძისამაც უფერულად ჩაატარა თავისი როლი. პირველი მოთხოვნილება მსახიობისა: გაიმსჭვალოს იმ გრძნობებით, იმ აზრებით, რითაც გამსჭვალულნი იყვნენ მის მიერ წარმოდგენილნი გმირები. აი სწორედ ამას ვერ ვხედავდით ქ-ნ ე. ს. გვარამაძისაში. ის სულიერი მოძრაობა, ის ტრაღიკული მდგომარეობა, რომელშიაც იმყოფებოდა მარინე, ის ბრძოლა, რომელიც მან აიტანა ყველაფერი ეს ძალიან სუსტად იყო გამოხატული. და აი სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ზოგიერთი ტრაღიკულ მომენტების დროს საზოგადოება სიცილს ძლივს იკავებდა. დანარჩენმა მომქმედმა პირებმა, გარდა ყარა-ოღლისა, საშუალოდ ჩაატარეს თავ-თავის როლები.

უფრო მწყობრად ჩაიარა ვოდევილმა „ორ-ოცის წლის არშიყი". ყველაზედ ძალიან თავი ისახელეს: კნ. ე. ი. ხიმშიევისამ, ქ-ნმა ბოძიევამ და მ. სურამელმა; უკანასკნელმა ბევრი აცინა საზოგადოება.

საზოგადოება წარმოდგენას ბლომად დაესწრო და ძალიან ნასიამოვნებიც დარჩა. გვეწვიენ სომხები და რუსებიც. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ მომეტებული ნაწილი ქართველი ინტელიგენციისა წარმოდგენას არ დასწრებია. ვერაფერი მაგალითია, თუ დამეთანხმებით...

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა ლეკურის თამაში, რომლითაც საზოგადოება დიდი ნასიამოვნები დარჩა.

ტალკვესი.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

15 დეკემბერი.

მოსკოვი. გუბერნიის საერობო კრების განსაკუთრებულმა რჩევამ, სახალხო განათლების საქმეთა შესახებ, სხვათა შორის, საჭიროდ დაინახა საერობო სკოლები დაარსდეს მოზრდილთათვის.

ეკატერინოსლავი. ბაირაკის ქვა-ნახშირის სამადნოში, შახმუტის მაზრაში, მიწა ჩაწვა და 18 კაცი მოჰყვა.

ტამბოვი. რადგან ხმოსნები წავიდ-წამოვიდნენ, საერობო კრება დაიშალა. 170 საგანი იყო განსახილველი და მხოლოდ 52 განიხილეს. ხარჯთ აღრიცხვა არ მოუსმენიათ (?).

პეკინი. ჩინეთის ყველა ვიცე-კოროლებს ბრძანება მიეცათ, წარმოადგინონ ცნობები რავდენი ჯარისკაცია უცხოელთა აფიცრების მიერ გაწვრთნილი და მათგან რავდენს შეუძლიან სამსახური.

პარიჟი. დეპუტატები ირწმუნებიან, რომ ბურჟუას, შეუძლობისა გამო, უარი განუცხადებია კვლავად კენჭი იყაროს პალატის პრეზიდენტობაზე. კანდიდატებად ასახელებენ ეტენ დუმერსა და ბრისსონს. პრეზიდენტი ლუბე 16 დეკემბერს ინახულებს ნელიდოვს, რომელიც რწმუნების ქაღალდებს წარუდგენს.

ნიუ-იორკი. აზიის წყლებზე მყოფი ამერიკის ესკადრის ადმირალმა ევანსმა განაცხადა, რომ, ეხლანდელ გარემოებათა გამო აღმოსავლეთის აზიაში, 16 დეკემბერს გონოლულუდგან ესკადრა მანილიას უნდა დაბრუნდეს.

გლუნდენი. რავდენსამე დღეს მეფე დანიისაკენ ვეღარ გაემგზავრება, რადგან მცირედ გაცივდა და შეუძლოთ არის.

ბელგრადი. საფრანგეთის ელჩს, რომელიც თავის თანამდებობაზე რჩება, ახალგაზრდობამ დემონსტრაცია გაუმართა და თანაგრძნობა გამოუცხადა.

პარიჟი. ნელიდოვი მოვიდა. მიეგებნენ მოდღარი და საელჩოს მოხელენი.

ეკატერინოსლავი. 14 დეკემბერს დაასაფლავეს ექიმი ლეშკო-პოპელი, რომელიც სამსახურის აღსრულების დროს გარდაიცვალა. დიდძალი ხალხი დაესწრო. განსვენებულმა პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა მთელ საზოგადოებისა, მეტადრე ღარიბთა შორის, რომელთაც უანგაროდ ეხმარებოდა და ფულსაც აძლევდა. ოჯახს არავითარი საცხოვრებელი არ დაუტოვა.

16 დეკემბერი.

პეტერბურგი. პროკურორი და გამგე უწმ. სინოდის კანტორისა თავადი შირინსკი-შიხმატოვი ტვერის გუბერნატორად დაინიშნა.

რომი. პაპმა გუბასტოვი ინახულა; რომელმაც ახალი წელი მიულოცა.

ვენა. ავსტრიისა და იტალიის მოლაპარაკება სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ სასურველად დამთავრდა. დროებითი დებულება იმოქმედებს ივლისის 4-მდე 1904 წლისა.

ნიუ-იორკი. რუსეთმა საჩქაროდ შეუკვეთა სამხრეთ ომახაში მილიონი ფუთი ღორი, რომელიც უნდა ჩაიბარონ 13 ნოემბერს 1904 წლისა სან-ფრანცისკოში, სადაც რუსეთის ორი გემი დაიბარგება.

იოკოჰამა. შეერთებული კრება იყო კაბინეტისა და საიდუმლო რჩევისა. ვერ გამოირკვა, როგორ უნდა გამოსძებნონ სახსარი მოულოდნელ ხარჯების გასასტუმრებლად და რკინის გზის დასასრულებლად სეულიდგან ფუსანამდე. ჰფიქრობენ, თუ რუსეთი არ შეცვლის თვის პასუხს, იაპონია დაუყოვნებლივ მიიღებს კორეის მფარველობას, და ამისთანა ნაბიჯი რუსეთთან ომს არ გამოიწვევსო.

ვლადივოსტოკი. სააპელაციო ინსტანციამ დამნაშავედ იცნო იაპონელი კაპიტანი და მეზღვაურნი, რომლებიც შეიპყრეს კამჩატკასთან, და მიუსაჯა ციხეში დაპატიმრება 50 დღით.

სოფია (ოპოზიციონთა ცნობა). ოპოზიციელთა კრებულმა, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, ხელი მოაწერა და გამოსცა მანიფესტი ბულგარიის ხალხისადმი. მანიფესტში მოხსენებულია საბუთები, რომელთა წყალობით ოპოზიციის დეპუტატნი იძულებულ იყვნენ წარმომადგენელთა კრებას აღარ დასწრებოდნენ და ამაში ბრალსა სდებენ საპარლამენტო უფლებათა შემლახველთ. პალატა განაგრძობს კრებას 22 დეკემბრამდე.

ბუენოს-აირეს. არგენტინის ჯავშნიანი გემები «მორენო» და «რივადარია» გაიყიდა 7½ მილიონ დოლარად. მყიდველის ვინაობა არ იციან.

ვენა. ავსტრიის მხრივ ჟანდარმთა უფროსის მოადგილედ მაკედონიის ვილაიეტებში დანიშნულია პოლპოლკოვნიკი სალის-სევისი.

ლონდონი. პორტსმუტში ისმის, რომ ბრიტანიის ფლოტი შორეულ აღმოსავლეთში გაძლიერებულ იქმნება. ადმირალტეისტომ უბრძანა ფლოტის სათადარიგო მეზღვაურთ თვისი ადრესები გამოუცხადონ. ამისთანავე განკარგულება იყო მაშინ, როდესაც ომი იწყებოდა სამხრეთ აფრიკაში.

ნიუ-იორკი. კანზას-სიტიდგან ცნობა მოვიდა, რომ რუსეთის მართებლობამ შეისყიდა «არმურ და კომ.» ფირმისაგან 1,500,000 გირვანქა დამარილებული ხორცი, რომელიც სან-ფრანცისკოში უნდა ჩაჰბარდეს 9 იანვარს.

პეტერბურგის ბირჟა 12 დეკემბერი.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	45,90
პარიჟში 100 ფრანკში	37,37½
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში „	46,30
პარიჟში „	37,67½
ბირჟის დისკონტი	5—6½%
4% სახელმწიფო რენტა	99½ გაყ.
4% სახ. სესხი 1902 წ.	—
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულთ ბანკისა	95⅛ გაყ.
5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ.	445 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	335 წვ. გაყ.
5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	286 გაყ.
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	—
4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა.	—
4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	—
5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა	
6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	

რკინის გზის მიმოსვლა.

15 ოქტომბრიდან 1903 წ.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათომს: 1) დილის 8 ს. 8 წ. 2) საღამოს 6 ს. 28 წ. 3) შუადღის 2 ს. 58 წ. (მხოლოდ ბორჯომამდე).

ბაქოს: 1) შუადღის 1 ს. 8 წ. 2) საღამოს 10 ს. 28 წ. 3) დილის 7 ს. 34 წ. 4) საღამოს 5 ს. 28 წ. (**მოსკოვს** მიმავალი, მხოლოდ სამშაბათობით).

ყარს-ერევანს: 1) შუადღის 1 ს. 28 წ. 2) საღამოს 11 ს. 13 წ.

ბ) ბათომიდან გამოდის:

ტფილის-ბაქოსაკენ: 1) დილის 9 ს. 32 წ. 2) ღამის 12 ს. 8 წ

გ) ბაქოდან:

ტფილის-ბათომისაკენ: 1) შუადღის 1 ს. 48 წ. 2) ღამის 11 ს. 28 წ. 3) დილის 4 ს. 48 წ. (მხოლოდ პარასკევობით); 4) დილის 4 ს. 8 წ.

დ) ქუთაისიდან:

ბათომისაკენ: 1) შუადღის 3 ს. 18 წ. 2) ღამის 1 ს. 58 წ.

ტფილის-ბაქოსაკენ: ღამის 3 ს. 58 წ.

ე) შორაპნიდან:

ჭიათურა-დარკვეთისაკენ: 1) დილის 6 ს. 58 წ. 2) საღამოს 5 ს. 58 წ.

ვ) დარკვეთიდან:

შორაპნისაკენ: 1) დილის 11 ს. 43 წ. 2) ღამის 10 ს. 8 წ.

გამოსადეგი ცნობები.

საეკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობითა და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიჰმართოს მუზეუმის გამგეს— ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებია-ქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ტფილის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

განცხადებანი

გამოვიდა და იყიდება ქართულ წიგნების მაღაზიებში ახალი გამოცემანი ქუთათურ ამხანაგობისა:

„დევან ბატონიშვილი" თხზ. ო. ხუსკივაძისა, ფ. 10 კაპ.

2. „ჯანნეტა" თარ. ა. ი. ნიკოლაძისა, ფასი 30 კაპ.

ვინც ამხანაგობის კიოსკიდამ (ქ. ქუთაისი, ქალაქის ბაღი) დაიბარებს ან იყიდის იქვე ამხანაგობის გამოცემებს 20 დეკემბრიდამ 20 იანვრამდე, მას დაეთმობა 30 პროცენტი დაკლებით, ხოლო ა) თხზ. მამია გურიელისა I და II ნაწ. ბ) თხზ. გ. წერეთლისა I და II ნაწ. გ) „საქართველოს ისტორია" ბარათაშვილისა I და II ნაწ. და დ) თხზ. გრ. აბაშიძისა—40% დაკლებით.

იბეჭდება და მალე გამოვა გიორგი წერეთლის თხზ. III ტომი.

10—6—6

1904 წელს ჟურნალი

„მოგზაური"

მთავრობის ნება-დართვით.

გამოვა ახალის გავრცელებულის პროგრამით, ე. ი. ჟურნალში დაიბეჭდება პედაგოგიური, სამეურნეო, სამკურნალო-სამეცნიერო და ისტორიულ-გეოგრაფიული წერილები. რედაქცია სთხოვს მასწავლებლებს, მეურნეებს, მკურნალებს და სამეცნიერო საგნების მიმდევართ მოაწოდონ მას ყოველგვარი წერილები მოხსენებულ საგნებიდამ. საუკეთესო წერილებს, ხალხისათვის ადვილ-გასაგების ენით დაწერილებს, რედაქცია იმავ დროს იაფ-ფასიან წიგნაკებადაც გამოსცემს.

ფასი ჟურნალისა იგივე 5 მანეთია, ხოლო მასწავლებლებისათვის და ხელმოკლე დაწესებულებათათვის—4 მანეთი. ადრესი ფოსტით: Тифлисъ, Редакція „МОГЗАУРИ" (Межевая ул., № 72).

რედაქტორ-გამომცემელი ი. პ. როსტომაშვილი.

ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვის თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ ჩქარა გამოგზავნეთ თქვენა

ადრესი: U. 111 an das
Annoncen-Bureau des Merkur
in Mannheim Meerfeldstrasse, 44.
(50—33)

ქუთაისში

ს. ბ. თოფურიას

სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიული გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სნითა და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ფასი დღე-ღამეში ჭამა-სმისა და მკურნალობისათვის 1 მანათიდან 3 მანეთამდე.

ამერიკულ ვაზის სანერგეში

კლო-ყგურულში

დაიწყო გაყიდვა დამყნილ დაფესვიანებულ ვაზებისა. იყიდება აგრეთვე ვაზის რქები საუკეთესო ჯიშისა, როგორც ადგილობრივი, ისე ბორდოსი, ბურგუნდიისა, შამპანიისა, რეინისა და სხვა. მრავლად არის როგორც რქა, ისე დაფესვიანებული გიბრიდი, აგრეთვე ამერიკული ჯიშები სამყნობად და დედა ვაზისა თვის მშრალ, ნოტიო, მაგარ, მძიმე და სხვა ნიადაგისათვის. სანერგეში 700 სხვა-და სხვა ჯიშის ვაზია. პრეისკურანტები და ახსნა უსასყიდლოდ.

შემოხვევით გვაქვს 20,000 ორი წლის ნამყენი რუპესტრისზე „Cattaratu" კატარატუ, ჯიში, რომელიც იძლევა შესანიშნავ ღვინოს «მარსალას».

ადრესი: წერილებისა და დეპეშებისათვის:
В. Тьебо, Кутаисъ.

გამოვიდა და იყიდება ყველგან ახალი გამოცემა „წერა-კითხვის საზოგადოების" № 63.

შოთა რუსთაველის

ვეფხის ტყაოსანი

4 პორტრეტითა და 21 სურათით, დ. კარიჭაშვილის წინასიტყვაობით, შენიშვნებითა და ვრცელის ლექსიკონით.

XXX+361 გვ. ფასი სამი აბაზი.

50 ცალი დაბეჭდილია სქელ ქაღალდზედ და ოითო ცალი ღირს ერთი მან.

იქიდან ესხმის თავს შენს ერთგულ ყმებს, როგორც ვეფხვი ბატკნებსა. იმასთან მიილტვიან ქრისტიანენი, რომელთაც მხოლოდ პირსაფერისად და ჩემის რისხვის შიშით მიიღეს მაჰმადიანობა. იმათთან ჰპოვეს სავანე ქრისტიანეთა მღვდლებმა და მონოზნებმა, რომელნიც კი გადურჩნენ ჩემს ხმალს. მაშ, ნუ თუ ახლა დავიწყებდი ცბიერებას შენ წინაშე ჩემის ქალის გულისათვის, დავიწყებდი ცბიერებას მაშინ, როცა ჩემი სულიცა, ხმალიცა და ძალაც შენს ძლიერს ფეხქვეშ დავამხე?

ზეინაბი. მონა ანგარიშობს თავის ბრძანებლის წინაშე, რამდენი დამსახურებაც მიუძღვის? რა ხარ შენ, ფეხთა მტვერო მეფისა! რა არის შენი ძალა ჩვენს არაბთა და ყიზილბაშთა მხედრობასთან? ან იქნება გგონია, რომ ისევ შენს ქართველ შთამომავალს ემსახურები, იმ შთამომავალს, რომელიც თქვენის, თავადების, ქედ-მაღლობის შიშით თრთოდა და ტახტზე იჯდა მხოლოდ იმიტომ, რომ ამილახვარს ეშინოდა ჩემი ადგილი ორბელიანმა არ დაიჭიროსო, ორბელიანს ეშინოდა სემბატისა, სემბათს—ციცისა. როგორც მგელნი ისე ეწეოდით აქეთ-იქით თქვენის ონავარის კბილებით მეფის სუფრას, რომელზედაც თოჯასავით იჯდა მეფე-ბატონი. მეფე სოლეიმანმა მიმოგფანტათ ერთი შებერვით, მისის მახვილის ზრიალმა ისე გააგორა თქვენი თავნი, როგორც თავები ცხვრებისა? გაუფრთხილდნენ თავიანთ თავს ისინიც, ვინც გადურჩა განსაცდელს! მოწყალეა მეფე სოლეიმანი. მე რომ მიჯერებდეს, აქამდე თავადნი და აზნაურნი გუთნიდედებათ იქმნებოდნენ და ზედამხედველნი არაბნი პოლტით ახვნევინებდნენ მიწასა. შენა? რომელმაც ჰარამხანისათვის გაჰყიდე შენი სვინიდისი, მხოლოდ იმას ივედრებოდი, რომ ნება მოეცათ ღვინის სმისა. არ იცოდი, რისთვის რა დაგემჯობინებინა, ჰარამხანა ღვინისათვის, თუ ღვინო ჰარამხანისათვის. და როგორც თვალ-ხარბმა ძაღლმა ისიც დასცინცლე და ისიცა. რითი მოგაქვს თავი? იმითი, რომ, ლოთი და გარყვნილი, ოღონდ-კი პატივი და სიცოცხლე არ მომაკლდესო, ჰხოხავ უძლეველის ფეხთა წინაშე? კარგი სანახავი კია დარაჯი ისლამისა, ღვინით გამომთვრალი!

ოთარ-ბეგი (სცდილობს ხუმრობაში ჩაატაროს).—მოვხუცდი, დედოფალო! ღვინო მიფიცხებს თავს და ძალას ჰმატებს მარჯვენას ისლამის სადიდებლად. ასეთი ზომა მაქვს გადაპრილი—რამდენსაც ღვინოს დავლევ, ორი იმდენი სისხლი უნდა დავაქციო უწმინდურთა. იქნება ამ სისხლმა ჩემკენ გადმოჰხაროს სასწორი წინასწარმეტყველის მაჰმადისა, მშვიდობა და კურთხევა სახელსა მისსა.

სოლეიმან-ხანი. ოთარ-ბეგ, შენ იცინი?

ოთარ-ბეგი. ვიცინი, ბატონო! ძაღლები და ბოროტნი არ იცინიან მხოლოდ, თორემ ვისაც გული წმინდა აქვს, ის ღიმილით ამხიარულებს თვისის მბრძანებელის გულს. ან-კი რა მაქვს საგლოვი და საწუხარი? ბედი ჩვენი ზეცაში სწერია, მისი შეცვლა არ შეიძლება. თუ მიწერია მსხვერპლი შევიქმნა შენისა ან დედოფლის რისხვისა, იმავ ღიმილითვე მოვკვდები, იმიტომ რომ ჩემი სვინიდისი წმინდაა შენ წინაშე. (გაბედულად უცქერის ორივეს. დუმილია).

სოლეიმან-ხანი (წამოდგება). შეასრულე ჩემი ბრძანება (ცეცხლს გაჰყრის თვალთაგან). ვერაგულის გზით-კი არა იყოს რა გაკეთებული, იცოდე! ყარა-იუსუფ!.. დღეს კიდევ შემომესმა ეკლესიების ზარის რეკა—მომაბეზრა თავი. წადი და უბრძანე ჩემ მაგიერ საქართველოს კათალიკოზს, რომ აღარ ვაძლევ ნებას ჰრეკონ ზარები სიონსა და ანჩისხატში და მთელ ტფილისში. დეე, ზარის დაურეკავად ილოცონ: ეგეც საკმაო იქნება მათთვის.

ყარა-იუსუფი. ხელ-წერილს დაასახელებს საბუთად, ხელმწიფეო, ხვალ იმათი აღდგომაა.

სოლეიმან-ხანი. მაჰმადმა ბრძანა: ისლამი აუქმებს ხელ-შეკრულობათა და სცვლის გულთა. უთხარი, რომ თუ კიდევ მომესმა ხმა ზარის რეკისა, ბრძანებას გავსცემ იმათი ზარები ზარბაზნებათ გადაადნონ, ხოლო ეკლესიებს თავლებათ გადავაქცევ, როგორც მეტეხის ტაძარი ტყვია-წამლის საწყობათ გადავაქციე. (ყარა-იუსუფი თავს უკრავს დაბლა და მიდის).

ოთარ-ბეგი. რაღად-ღა გინდათ გადასდოთ, დიდებულო მეფეო? ნება მიბოძე დაუყოვნებლივ შევაგროვო ჩემის ჩაფრებით, რაც ტფილისში ზარებია, და სულ აქ მოგიტანინო ციხეში!

ზეინაბი. ტფილისის ზარებისათვის ნუ სწუხარ, ოთარ-ბეგ. ჩვენც მოუვლით მაგ საქმეს უშენოდ. ან იქნება ზარები კიდევ აწუხებს შენს სმენას და აღვიძებს შენს გულში იმას, რაც გინდა დაივიწყო?

ოთარ-ბეგი. (კვლავ გაფითრდება და შეარხევს თავს).—არა, დედოფალო, რაც დავიწყებულია, ის მკვდარია და მისი გაღვიძება კვნესამა და ხვეწნა მუდარამაც ვერ შესძლო, არა თუ რაღაცა სპილენძის ქვაბებმა შესძლოს.

სოლეიმან-ხანი. წამო, ალ-რაზაკ! (მიდის, ალ-რაზაკი და მცველნი უკან მისდევენ).

(შემდეგი იქნება).

გრ. ყიფშიძე.

Дозволено цензурою Тифлисъ 16 декабря 1903г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи. დროებით რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი სარაჯიშვილი.